

დამტკიცებულია  
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2023 წლის 27 დეკემბრის N29 განკარგულებით

პროექტი : "ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის საპილოტე გადაწყვეტილებები  
საქართველოში"

ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და  
წყალარინების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2023

## შინაარსი

1	შესავალი .....	3
2	პროექტის შესახებ.....	3
3	საკანონმდებლო ჩარჩო.....	3
4	სიტუაციური ანალიზი.....	8
4.1	ეროვნული დონე.....	8
4.2	მუნიციპალური/ადგილობრივი დონე.....	9
5	ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა .....	11

# 1 შესავალი

ჩამდინარე წყლებში არსებული დაბინძურება ადამიანის ბიო-სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება. დაბინძურებული ჩამდინარე წყალი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მისი წარმოქმნის წყაროსთან ახლოს მდებარე უბნებზე, არამედ საფრთხეს უქმნის ვრცელ ტერიტორიებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ჩამდინარე წყლების არასათანადო ან არასაკმარისი გაწმენდა იწვევს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, შიდა წყლების სისტემების, სანაპირო წყლებისა და ზღვის წყლის ხარისხის გაუარესებას. აქედან გამომდინარე ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიდგომა საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკაა და შესაბამისად, ყველა ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა ისეთი ხარისხით, რომელიც არ მოახდენს უარყოფით ზემოქმედებას სხვა ქვეყნების წყლებსა და ზღვებზე.

წყალარინების სისტემის (ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობის ჩათვლით) მთავარი დანიშნულებაა ადამიანებისა და გარემოს დაცვა ურბანულ ჩამდინარე წყლებში არსებული დაბინძურების უარყოფითი ზემოქმედებისაგან. ჩამდინარე წყლების გაწმენდა და ჩაშვება უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის პრინციპების დაცვით და ჩამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კონცეპტუალური მოთხოვნების დაცვით. აღნიშნულ პროცესში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს დაცვის და წყლის რესურსების გამოყენების ინტეგრირებული მიდგომები, აგრეთვე გარემოსდაცვითი და წყლის მართვის საკითხების კომპლექსური გადაჭრა ბალანსის, სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფით.

## 2 პროექტის შესახებ

წინამდებარე ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მომზადებულია პროექტის "ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის საპილოტე გადაწყვეტილებები საქართველოში" ფარგლებში. აღნიშნული პროექტის დაფინანსებულია სლოვაკეთის განვითარების სააგენტოს მიერ, ხოლო პროექტის განმახორციელებელია "ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში" და "SOSNA".

## 3 საკანონმდებლო ჩარჩო

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა მრავალ სექტორში განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს იმისათვის, რომ ჰარმონიზაციაში მოვიდეს ევროკავშირის შესაბამის კანონებთან და სტანდარტებთან. 2014 წლის ივნისში საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება განახორციელოს პოლიტიკისა და საკანონმდებლო რეფორმების პროგრამა. ამ მოცულობით შეთანხმებას თან ახლავს ოცდაათობიერი დანართი, სადაც მითითებულია ევროკავშირის ასობით შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც საქართველომ უნდა მიიღოს კონკრეტული თარიღისთვის, ვადები განსაზღვრულია ორიდან ათ წლამდე. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მოიცავს თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებში, სადაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოებას.

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართში ნახსენებია ევროკომისიის მრავალი დირექტივა გარემოს დაცვის სფეროში, რომელსაც საქართველომ ეტაპობრივად უნდა მიუახლოვოს თავისი კანონმდებლობა განსაზღვრულ ვადებში. მიმართულებები მოიცავს: გარემოს მართვას და გარემოს დაცვის ინტეგრირებას სხვადასხვა

სფეროებში, კერძოდ: ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი და რესურსების მართვა საზღვაო გარემოს ჩათვლით, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, საწარმოო დაბინძურება და საწარმოო საფრთხეები, ქიმიკატების მართვა.

საქართველოს მონაწილეობას შესაბამის საერთაშორისო კონვენციებში დიდი მნიშვნელობა აქვს იქედან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებს რომლებსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, წარმოადგენს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილს, რომელიც უპირატესია ეროვნულ კანონებზე თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.

ქვემოთ წარმოდგენილია წყლის სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სტანდარტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წყლის გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელებისას.

**კანონი წყლის შესახებ** <sup>1</sup> (სარეგისტრაციო კოდი: 400.000.000.05.001.000.253, მიღების თარიღი: 16.10.1997) ადგენს მთავარ სამართლებრივ მოთხოვნებს საქართველოს წყლის რესურსებთან დაკავშირებით, წყლის დაცვისა და მოხმარების ჩათვლით. (მიწისქვეშა წყლების დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს კანონით „წიაღის შესახებ“). წყლის შესახებ კანონის შესაბამისად, წყლის რესურსები წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მათი აღება შესაძლებელია მხოლოდ მოხმარების მიზნით. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არღვევს წყლის რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების უფლებებს.

### წყლის ხარისხის სტანდარტები

სასმელი წყლის ხარისხი განისაზღვრება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი<sup>2</sup> (მთავრობის დადგენილება №58, მიღების თარიღი: 2014 წლის 15 იანვარი, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017676). სასმელი წყლის ხარისხის კრიტერიუმები მოცემულია შემდეგ ცხრილში.

**ცხრილი 3.1. დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაცია სასმელ წყალში**

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი არაუმეტეს
<b>ზოგადი მაჩვენებლები</b>		
წყალბადის მაჩვენებელი	pH	6-9
პერმანგანატული ჟანგვადობა	მგ O2/ლ	3,0
საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი) მგ/ლ		1000–1500
<b>არაორგანული ნივთიერებები</b>		
ბარიუმი (Ba 2+)	მგ /ლ	0,7
ბორი(B,ჯამური)	მგ /ლ	0,5
დარიშხანი (As,ჯამური)	მგ /ლ	0,01
ვერცხლისწალი (Hg, არაორგანული),	მგ /ლ	0,006
კადმიუმი(Cd, ჯამური)	მგ /ლ	0,003
მანგანუმი(Mn, ჯამური)	მგ /ლ	0.4
მოლიბდენი(Mo, ჯამური)	მგ /ლ	0,07
ნიკელი(Ni, ჯამური)	მგ /ლ	0,07
ნიტრატები(NO-3-ით ხანმოკლე ზემოქმედება),	მგ /ლ	50

<sup>1</sup> კანონი წყლის შესახებ (1997): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?impose=translateEn>

<sup>2</sup> სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი <https://matsne.gov.ge/document/view/2196792?publication=0>

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი არაუმეტეს
ნიტრიტები (NO <sub>2</sub> -ით ხანგრძლივი ზემოქმედება),	მგ /ლ	0,2
სელენი(Se, ჯამური)	მგ /ლ	0,01
სპილენძი(Cu, ჯამური)	მგ /ლ	2,0
ტყვია(Pb, ჯამური)	მგ /ლ	0,01
ფტორიდები (F -)	მგ /ლ	0,7
ქრომი (Cr <sup>6+</sup> )	მგ /ლ	0,05
სტიბიუმი (Sb)	მგ /ლ	0,02
ციანიდები(CN <sup>-</sup> )	მგ /ლ	0,07
<b>ორგანული ნივთიერებები</b>		
პესტიციდების საერთო შემცველობა	მგ /ლ	0,05

საქართველოს მთავრობის მიერ №425 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-თ (საქართველოს მთავრობის დადგენილება, მიღების თარიღი: 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.017650) დადგენილი ზედაპირული წყლის ხარისხის მახასიათებლები იხილეთ ქვემოთ.

**ცხრილი 3.2. ზედაპირული წყლის ხარისხის მახასიათებლები**

მაჩვენებლები	წყალსარგებლობის კატეგორია			
	მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის	მოსახლეობის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის	თევზსამეურნეო მიზნებისათვის	
			უმაღლესი და პირველი კატეგორია	მეორე კატეგორია
	დასაშვების შეწონილი ნაწილაკების შემცველობის მატება არაუმეტეს:			
შეწონილი ნაწილაკები	0,25 მგ/ლ	0,75 მგ/ლ	0,25 მგ/ლ	0,75 მგ/ლ
	მდინარეებისთვის რომლებიც შეიცავენ წყალმცირობისას 30 მგ/ლ ბუნებრივ შეწონილ ნაწილაკებს, დასაშვებია მათი მომატება 5% ფარგლებში			
	თუ ჩამდინარე წყლები შეიცავენ შეწონილ ნაწილაკებს, რომელთა დალევის სიჩქარე აღემატება 0,2 მმ/წმ, მათი ჩაშვება აკრძალულია წყალსატევებში (ტბებში), ხოლო თუ აღემატება 0,4 მმ/წმ მდინარეებში (არხებში)			
მცურავი მინარევები (ნივთიერებები)	წყლის ზედაპირზე არ უნდა შეინიშნებოდეს ნავთობპროდუქტების, ზეთების და ცხიმების აფსკები, აგრეთვე სხვა მინარევები			
შეფერილობა	არ უნდა შეინიშნებოდეს წყლის სვეტში		წყალმა არ უნდა მიიღოს უცხო ფერი	
	20 სმ		10 სმ	
სუნი, გემო	წყალმა არ უნდა მიიღოს 1 ბალზე მეტი ინტენსიურობის სუნი და გემო, რომელიც შეინიშნება		წყალმა არ უნდა მისცეს თევზის პროდუქტს უცხო სუნი და გემო	
	უშუალოდ, შემდგომი ქლორირების ან სხვაგვარი დამუშავების შემდეგ	უშუალოდ		
ტემპერატურა	წყლის ზაფხულის ტემპერატურამ ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ არ უნდა მოიმატოს 30 C მეტად ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი		წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 50 C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერატურასთან შედარებით. ამასთან ერთად წყლის	

მაჩვენებლები	წყალსარგებლობის კატეგორია			
	მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის	მოსახლეობის სამეურნეო- საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის	თევზსამეურნეო მიზნებისათვის	
			უმაღლესი და პირველი კატეგორია	მეორე კატეგორია
	თვის წყლის საშუალოთვიურ ტემპერატურასთან შედარებით წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 5 <sup>0</sup> C მეტად წყალსატევის ბუნებრივ ტემპერატურასთან შედარებით		ობიექტებში, სადაც ბინადრობენ ცივი წყლის მოყვარული თევზები (ორაგულისებრნი და სიგასებრნი), მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურაა: 20 <sup>0</sup> C ზაფხულში და 5 <sup>0</sup> C ზამთარში, ხოლო დანარჩენ წყლის ობიექტებში 28 <sup>0</sup> C ზაფხულში და 8 <sup>0</sup> C ზამთარში	
რეაქცია (PH)	არ უნდა სცილდებოდეს 6,5 – 8,5			
წყლის მინერალიზაცია	არაუმეტეს 1000 მგ/ლ, მათ შორის: ქლორიდები -350 მგ/ლ, სულფატები - 500 მგ/ლ	ნორმირება ხდება ზემოთმოყვანილ მაჩვენებლის "გემო" მიხედვით	ნორმირება ხდება თევზსამეურნეო წყლის ობიექტების ტაქსაციების შესაბამისად	
წყალში გახსნილი ჟანგბადი	წყლის ნებისმიერ დროს არ უნდა იყოს ნაკლები:			
	4 მგ/ლ	4 მგ/ლ	6 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილება ჟმმ სრული	20 <sup>0</sup> C ტემპერატურისას არ უნდა აღემატებოდეს:			
	3 მგ/ლ	6 მგ/ლ	3 მგ/ლ	6 მგ/ლ
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება ჟქმ	არ უნდა აღემატებოდეს:			
	15 მგ/ლ	30 მგ/ლ	-	-
ქიმიური ნივთიერებები	არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას			
დაავადებათა გამომწვევები	წყალი არ უნდა შეიცავდეს დაავადებათა გამომწვევებს, მათ შორის სიცოცხლისუნარიან ჰელმინტების კვერცხებს, ტენიების ონკოსფეროებს და სიცოცხლისუნარიან პათოგენურ ნაწლავის უმარტივესთა ცისტებს			
ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირები არაუმეტესი	10000 ლიტრში	5000 ლიტრში	-	-

საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო ამჟამად ვალდებულია შეასრულოს ევროკავშირის ენერგეტიკის საზოგადოების მოთხოვნები, ანუ კომისიის დირექტივა 2000/60/EC (წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივა). გარდა ამისა, წყლის სექტორის განვითარების ხანგრძლივი დროის გამო, საქართველომ ასევე უნდა შეასრულოს „საყოფაცხოვრებო წყლის ხარისხი“ (2006/7/EC) დირექტივა, დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლების შესახებ (91/271/EEC), დირექტივა წყალდიდობების რისკების მართვის შესახებ (2007/60/EC), დირექტივა "ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ" (91/676/EEC), დირექტივა "სამომხმარებლო წყლის ხარისხის შესახებ" (98/83/EC), ევროკავშირის მე-3 ენერგო-პაკეტის რეგულაცია (EU) 994/2010 სუფთა წყლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის შესახებ. ქვემოთ, ჩამონათვალში შეჯამებულია სხვადასხვა მოთხოვნები:

- გარანტირებული სუფთა წყალმომარაგება ყველა მომხმარებლისთვის, შეფერხებების გარეშე, თუნდაც ერთი ყველაზე დიდი წყლის ინფრასტრუქტურის მოშლის შემთხვევაში;
- დაცული მომხმარებლების გარანტირებული წყალმომარაგება;
- დაცული მომხმარებლების გარანტირებული წყალმომარაგება დროის ნებისმიერ მონაკვეთში;
- შეუფერხებელი წყალმომარაგება (ზამთრის საშუალო პირობებში) წყლის ერთი უდიდესი წყლის ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

საქართველოში წყლისა და ჩამდინარე წყლების კომუნალური საქმიანობა რეგულირდება მკაცრი სტანდარტებით და ზედმეტად მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმებით, რაც საჭიროებს დიდ კაპიტალსა და საოპერაციო ხარჯებს. ამ ნორმებისა და სტანდარტების შედარება უცხოეთში მოქმედ ნორმებთან ადასტურებს არსებული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას. საჭიროა შესაბამისი მეთოდური აქტებისა და შინაგანაწესის შემუშავება ან განახლება ახალი რეალობის ასახვის მიზნით.

ამჟამად, საქართველო კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ განხილვის პროცესშია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ზემოთ მოყვანილ დირექტივებთან. კანონები დაადგენენ ჩარჩო მოთხოვნებს, მათ შორის, ქვე-კანონებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შესამუშავებლად საჭირო მოთხოვნებს. ეს:

- საშუალებას მისცემს საქართველოს წყლის სისტემას კრიტიკულ ვითარებაში უზრუნველყოს დაცული მომხმარებლებს გარანტირებული, უწყვეტ წყალმომარაგება, ევროკავშირის მოთხოვნებით შესაბამისად.
- მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს წყლის სისტემას.
- მოახდენს სეზონური მიწოდების/მოთხოვნის დისბალანსის მართვას.

ჩამდინარე წყალი. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლის ჩაშვება სეპტიკურ სისტემაში ხდება, ან თუ მიწა გამწმენდი სისტემის ნაწილს წარმოადგენს, დამუშავებულმა წყალმა უნდა დააკმაყოფილოს სანიტარული ჩამდინარე წყლებისთვის დაწესებული სახელმწიფო ნორმები. ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებიდან ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ასეთის არარსებობის შემთხვევაში - ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნების და გრძელვადიანი მდგრადობის პრინციპების გათვალისწინებით.

**ცხრილი 3.3. გაწმენდილი ჩამდინარე წყლების საპროექტო ხარისხის მოთხოვნები**

დამაბინძურებელი	ერთეული	სტანდარტი		
		საქართველო	მსოფლიო ბაკი	ევროკომისია
pH	pH	6-9	6-9	
ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა (BOD)	მგ/ლ	35	30	25
ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნა (COD)	მგ/ლ	125	125	125
საერთო ფოსფორი	მგ/ლ	2	2	2
საერთო აზოტი	მგ/ლ	15	10	15
შეწონილი მყარი ნაწილაკები	მგ/ლ	60	50	35
კოლიფორმული ბაქტერიები	[1]MPNb/100 მლ		400a	

## 4 სიტუაციური ანალიზი

### 4.1 ეროვნული დონე

ჩამდინარე წყლების ჩაშვება თითოეულ ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო და კონცეპტუალური მოთხოვნების შესაბამისად ხდება. აღნიშნულ მოთხოვნებში სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებთან ერთად დეტალურად არის განსაზღვრული ტექნიკური და ტექნოლოგიური მიდგომებიდან შესაბამი ტექნიკური სტანდარტები. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვებისა და გაწმენდის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის დირექტივებითა და ეროვნული რეგულაციებით. ევროკავშირში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისა და გაწმენდის პროცესს ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ დირექტივა 91/271/EEC არეგულირებს (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5128918?publication=0>). აღნიშნული დირექტივის მოთხოვნებთან ერთად ვრცელდება ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების, და განსაკუთრებით ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2000/60/EEC-ის მოთხოვნები, რომლებიც ადგენენ წყლის რესურსების მართვის სფეროში ევროკავშირში მისაღები ზომების ჩარჩოს (წყლის ჩარჩო დირექტივა). აღნიშნული დირექტივების მოთხოვნების შესრულება უზრუნველყოფს წყლის ობიექტების კარგი გარემოსდაცვითი სტატუსის მიღწევას.

ევროკავშირის წყლის დირექტივას და ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დირექტივის მიხედვით 2030 წლის ბოლოსთვის ყველა ადამიანისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი გამართული და თანაბარი წვდომა სანიტარიასა და ჰიგიენაზე;

საქართველოს განვითარების სტრატეგიის (ხედვა 2030) მიხედვით გამიზნულია საქართველოს მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მომდევნო წლებში (ამოცანა 11.2). დაგეგმილია გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება, რისთვისაც განხორციელდება წყალარინების ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი საშუალებების მოწყობა, რაც შეამცირებს ჩამდინარე წყლებით გარემოს დაბინძურებას. <https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf>

დღეის მდგომარეობით არ არსებობს ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის ეროვნული სტრატეგია (შესაბამისად არც რეგიონული/მუნიციპალური სტრატეგიები). არსებობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი 2021-2030 წლებისათვის“. დოკუმენტში ასახულია საქართველოში წყალმომარაგების და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ხედვა<sup>3</sup>. დოკუმენტის მიხედვით სექტორში არსებული ძირითადი გამოწვევებია:

- წყალარინების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. აღნიშნული განსაკუთრებით ყურადსაღებია სოფლებში, სადაც სერვისის დონე მეტად გასაუმჯობესებელია, ვიდრე ქალაქად. ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხის მიხედვით, დგას როგორც ეფექტური მართვის, ასევე ფიზიკური ინფრასტრუქტურის აშენების/რეაბილიტაციის საჭიროებები;

3

<https://www.mrdi.gov.ge/files/1/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98.pdf>



- მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე ზიანი გარემოზე: კომუნიკაციებიდან გაუწმენდავი ან არასაკმარისად გაწმენდილი კანალიზაციის წყლების ჩაშვება იწვევს წყლის დაბინძურებას, წყალთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელებასა და ეკოსისტემის დაზიანებას.

ხსენებულ დოკუმენტში მოცემულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრინციპები გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრინციპები შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სტრატეგიულ და საოპერაციო გეგმებშია გათვალისწინებული. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიაჩნია, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 6.1. და 6.2 მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლისათვის მიღწევაში<sup>4</sup>. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიზანია, გახდეს კვალიფიციური, აბონენტებზე ორიენტირებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგების საწარმო. ამოცანები და მიზნები განისაზღვრება შესრულებაზე დაფუძნებული შეთანხმებებით, რომლებიც გაფორმდება კომპანიასა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის, ასევე, კომპანიის სათაო ოფისსა და რეგიონულ ფილიალებს შორის. მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტები იქნება მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბიზნესგეგმასთან. ამგვარად, გაძლიერდება შესრულებაზე დაფუძნებული სამუშაო კულტურა. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაამტკიცებს ადამიანური რესურსების განვითარების სისტემურ სტრატეგიასა და გეგმას, რათა მოიზიდოს, მოტივაცია აუმაღლოს, გადაამზადოს კომპეტენტური და პროდუქტიული პერსონალი და ჩამოაყალიბოს ძლიერი სამუშაო ძალა კორპორაციული ღირებულებების დაცვისათვის, მისიის შესრულებისა და მიზნების მიღწევისათვის.

## 4.2 მუნიციპალური/ადგილობრივი დონე

საქართველოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი დეცენტრალიზებულია. მართალია, მუნიციპალიტეტები თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში პასუხისმგებელნი არიან წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების მიწოდებაზე, მაგრამ მათი უმეტესობა მოსახლეობას მხოლოდ წყალს აწვდის. კომპანიები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ოპერირებენ, ძირითადად, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, არალიცენზირებული არიან და მათ არ არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია<sup>2</sup>. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გარდა, სექტორის მთავარ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: სემეკი, მუნიციპალიტეტები და მომსახურებების მიმწოდებელი კომპანიები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სექტორის განვითარებაში მონაწილე განვითარების პარტნიორები.

როგორც აღვნიშნეთ არც რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთს რეგიონისთვის და შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტისთვის არ არსებობს ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია. მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემები მხოლოდ ქალაქ ონში, სოფლებში

<sup>4</sup> რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაამტკიცა წყალმომარაგებისა და წყალარინების ხედვისა და პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორული განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი 2021-2030 წლებისათვის, 2021 წლის ნოემბერი.

ღარსა და ლაგვანთაში არსებობს. საკანალიზაციო სისტემით სარგებლობს ქ. ონის მოსახლეობის 80%. მუნიციპალიტეტში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობები.

ონის მუნიციპალიტეტში ოპერირებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ახლად შექმნილი ააიპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი“.

ააიპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი“ ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენს:

- ონის მუნიციპალიტეტის დასახლებათა (სოფლების) წყალმომარაგების ქსელის შენარჩუნება და ლოკალური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.
- ცენტრი აღჭურვილია მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების ადეკვატური უფლებებით და ასრულებს შესაბამის მოვალეობებს.
- დადგენილი წესით შეუძლია მიიღოს ინფორმაციული, დოკუმენტური თუ სხვა მასალები, რომლებიც საჭიროა ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.
- დაკისრებული მოვალეობების შესრულების უზრუნველსაყოფად მერიისათვის ამზადებს წინადადებებს საკითხის გადასაწყვეტად.
- ამყარებს ურთიერთობებს სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მათთან ხელშეკრულების გაფორმება.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა მიყვება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, კომპანიამ შეიმუშავა განვითარების ჩარჩო სამოქმედო გეგმა. აღნიშნული განვითარების ჩარჩო სამოქმედო გეგმის მიხედვით შემუშავდა ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია და შესაბამისი დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოცემულია ანგარიშის მე-5 თავში.

## 5 ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ცხრილი 5.1. ონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლებისა და წყალარინების სისტემის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

მიზანი 1	ქალაქ ონში ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მართვის სიტემის გაუმჯობესება და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შესაძლებლობების გაძლიერება					
ამოცანები		ინდიკატორი				
ამოცანა 1.1	ქალაქ ონისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა	ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მართვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის № 169 ბრძანების „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ“ მიხედვით შემცირებულია ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები.				
ამოცანა 1.2	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ და ააიპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრის“. შესაძლებლობების გაძლიერება	მუნიციპალიტეტს ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კომპანიები და პერსონალი				
აქტივობა	შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	დაფინანსების წყარო	
ამოცანა 1.1. ქალაქ ონისთვის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა						
1.1.1	ქალაქ ონის ტერიტორიაზე არსებული წყალმომხმარებლების იდენტიფიცირება და წყალმომხმარებაზე სამომავლო მოთხოვნის გაანგარიშება	2024	ინდენტიციფრებულია წყალმომხმარებლების საერთო რაოდენობა და ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების სავარაუდო მოცულობა	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>

1.1.2	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პროექტის შემუშავება და შესაბამის ორგანოებში შეთანხმება	2024	შემუშავებულია დეტალური პროექტი, რომელიც მიხედვითაც განხორციელდება ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მართვა; გათვალისწინებულია საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტები	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> <li>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
1.1.3	ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების წარმოება, აბონენტების რეგისტრაციის და კვალიფიციური პერსონალის მომზადება	2024-2025	ქალაქ ონში მოწყობილია საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების შესაბამისი გამწმენდი ნაგებობა; გამწმენდი ნაგებობის ოპერირება ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის მერია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</li> <li>საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> </ul>
<b>ამოცანა 1.2 შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ და ააიპ „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრის“ შესაძლებლობების გაძლიერება</b>						
1.2.1	კომპანიების ადამიანური რესურსების გაძლიერება, ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერა და უფლებამოსილების დელეგირება	2024-2025	როგორც ქალაქ ონს, ასევე მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებულ პუნქტებს ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც ასევე აღჭურვილია სათანადო ტექნოლოგიებით	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ონის მუნიციპალიტეტის მერია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> </ul>

მიზანი 2		ონის მუნიციპალიტეტში არსებული საკურორტო ადგილებისთვის საკანალიზაციო და წყალარინების სისტემის გაუმჯობესება/მოწყობა				
ამოცანები			ინდიკატორი			
ამოცანა 2.1	საკურორტო ადგილების შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემით აღჭურვა	დაცულია საკურორტო ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დაცულია ზედაპირული და მიწისქვეშა, მათ შორის მინერალური წყლების ხარისხი მოსახლეობა და დასასვენებელი ობიექტები უზრუნველყოფილია შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემებით				
აქტივობა	შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	დაფინანსების წყარო	
ამოცანა 2.1. საკურორტო ადგილების შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემით აღჭურვა						
2.1.1	საკურორტო ადგილებში ე.წ „ცხელი წერტილების“ იდენტიფიცირება	2024	იდენტიფიცირებულია ის ობიექტები, რომელთათვის სიტემის მოწყობა პრიორიტეტულია	ონის მუნიციპალიტეტის მერია	-	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
2.1.2	საკურორტო ობიექტებისთვის როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სიტემების მოწყობის განსაზღვრა	2024	იდენტიფიცირებულია ობიექტები, რომლებისთვისაც დამუშავდება ინდივიდუალური პროექტები	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> </ul>
2.1.3	ჩამდინარე საკანალიზაციო წყლებისა და წყალარინების სისტემების პროექტების შემუშავება საკურორტო ადგილების დატვირთვის და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით	2024-2027	საკურორტო ადგილების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია ჩამდინარე საკანალიზაციო წყლებისა და წყალარინების სისტემების პროექტები	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>

2.1.4	საკანალიზაციო და წყალარინების სისტემების მოწყობა	2024-2027	საკურორტო ადგილებისთვის მოწყობილია შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემები; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; შემცირებულია გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების რისკები;	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;	<ul style="list-style-type: none"> <li>□□□□ მუნიციპალიტეტის მერია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
	მომხმარებლების გამრიცხველიანება და რევისტრაცია	2024-2027	შემუშავებულია მოსაკრებელის დარიცხვისა და თანხის გადახდის ერთიანი სისტემა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;	<ul style="list-style-type: none"> <li>□□□□ მუნიციპალიტეტის მერია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> </ul>

მიზანი 3		სასოფლო დასახლებებში არსებული საკანალიზაციო და წყალარინების სისტემის გაუმჯობესება/მოწყობა				
ამოცანები			ინდიკატორი			
ამოცანა 3.1	სასოფლო დასახლებების შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემებით აღჭურვა	მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დაცულია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხი დასახლებული პუნქტები უზრუნველყოფილია შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემებით				
ამოცანა 3.2	სასოფლო დასახლებებში ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სისტემების ალტერნატიული საპილოტე პროექტების განხორციელება	მოსახლეობის ნაწილი და ფერმერები სარგებლობენ ალტერნატიული საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებით				
აქტივობა	შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	დაფინანსების წყარო	
ამოცანა 3.1. სასოფლო დასახლებების შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების სისტემებით აღჭურვა						

3.1.1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო დასახლებებიდან, იმ დასახლებული პუნქტების განსაზღვრა, რომლებსთვისაც სიტემის მოწყობა პრიორიტეტულია	2024-2025	იდენტიფიცირებულია ის დასახლებული პუნქტები, რომლებსთვისაც სხვადასხვა ფაქტორების გამო (მოსახლეობის რაოდენობა, გარემოსდაცვითი ფაქტორები და სხვა) საკანალიზაციო და წყალარინების სისტემის მოწყობა პრიორიტეტულია	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> </ul>
3.1.2	დასახლებული პუნქტებისთვის ინდივიდუალური პროექტების შემუშავება სამომავლო დატვირთვისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით	2024 -2030	შემუშავებულია დეტალური პროექტი, რომლიც მიხედვითაც განხორციელდება დასახლებული პუნქტების ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მართვა	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> <li>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
3.1.3	საკანალიზაციო და წყალარინების სისტემების მოწყობა	2024-2030	ონის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებები აღჭურვილია სათანადო საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების სისტემებით;	ონის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
3.1.4	მომხმარებლების გამრიცხველიანება და რეგისტრაცია	2024-2030	შემუშავებულია მოსაკრებელის დარიცხვისა და თანხის გადახდის ერთიანი სისტემა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	<ul style="list-style-type: none"> <li>□□□□ მუნიციპალიტეტის მერია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> </ul>

				ონის მუნიციპალიტეტის მერია		
<b>3.2 სასოფლო დასახლებებში ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სისტემების ალტერნატიული საპილოტე პროექტების განხორციელება</b>						
3.2.1	ბენეფიციარების იდენტიფიცირება	2024-2030	იდენტიფიცირებულია ბენეფიციარები, რომლებიც ინდივიდუალური მოხმარებისა და ფერმებისთვის გამოიყენებენ ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სისტემების ალტერნატიულ მოდელებს (ბიოტუალეტები, ბიოფილტრები)	ონის მუნიციპალიტეტის მერია	-	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>• ცენტრალური ბიუჯეტი</li> <li>• დონორი ორგანიზაციები</li> </ul>
3.2.2	საპილოტე პროექტების განხორციელება	2024-2030	დასახლებულ პუნქტებში საოჯახო მეურნეობებსა და ფერმებში მოწყობილია საკანალიზაციო წყლების გამწმენდის ალტერნატიული სისტემები - ბიოტუალეტები, ბიოფილტრები და სხვა	ონის მუნიციპალიტეტის მერია	-	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</li> <li>• დონორი ორგანიზაციები</li> </ul>